

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების
გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიშის

ანალიზი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

I. შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (შემდგომ – საია) 2021 წლის 1 სექტემბერს საზოგადოებას წარუდგინა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში. ანგარიში სამი თავისგან შედგება და მოიცავს 2021 წლის 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდს.

ამ დოკუმენტის, რომელიც შედგენილია პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ანალიტიკური ჯგუფის მიერ, მიზანია, ანგარიშში წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგების ანალიტიკური მიმოხილვა.

II. ზოგადი მიმოხილვა

საიას ანგარიში მხოლოდ ოთხი კონკრეტული შემთხვევის შეფასებით შემოიფარგლება და მასში არ არის აღწერილი წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციები. ამასთანავე, როგორც ანგარიშის შესავალში აღნიშნულია, ის ფარავს „გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას.“¹ მაშასადამე, თავიდანვე იკვეთება, რომ ანგარიშის ნაწილი არ აღწერს კანონდარღვევებს, არამედ აღწერს იმ ფაქტებს, რომლებიც საიას მიერ შეფასებულია როგორც ცუდი და არაჯანსაღი.

1. მთავრობის ინიციატივა სასესხო ვალდებულებების სუბსიდირების შესახებ

ანგარიშის პირველი თავი ეთმობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 2021 წლის 25 ივნისს წარდგენილი ეკონომიკის 10-წლიანი განვითარების გეგმის იმ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე ოჯახებს, რომელთაც შეეძინებათ შვილი/შვილები, შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფოს მხრიდან იპოთეკური სესხის სუბსიდირებით. ანგარიშის ავტორის შეფასებით, პრობლემატურია, რომ მთავრობამ შესაბამისი დადგენილება 2021 წლის 2 აგვისტოს, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გამოსცა.² საიას განმარტებით, აღნიშნული თარიღი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან, კერძოდ, 3 აგვისტოდან, ამ დადგენილების მიღება

¹ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 5. ხელმისაწვდომია:

<https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/gallery/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D+%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1+%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98.pdf>

² საქართველოს მთავრობის დადგენილება №388, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5231778?publication=0>

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩათვლებოდა. შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ მთავრობამ თავი აარიდა რეგულაციას.³

„ამომრჩეველთა გულის მოგებაზე გათვლილი მანიპულაცია“ - ასე აფასებს საია დადგენილებას და განმარტავს, რომ მისი წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღამდე ერთი დღით ადრე მიღება მოქალაქეთა მიმღე სოციალური პირობების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებაა.⁴

შეფასება:

ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობას საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლები არ დაურღვევია. შეფასება, რომ მთავრობამ „თავი აარიდა რეგულაციას“, ცალმხრივი და ტენდენციური შეფასების შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში, მთავრობამ დაიცვა კანონის მოთხოვნა და დადგენილება გამოსცა წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე (არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა).⁵

ამგვარად, მთავრობა 2 აგვისტოს მიიღებდა დადგენილებას, თუ, პირობითად, 2 ივლისს, საიას მსგავსი ეჭვები შესაძლოა მაინც გასჩენოდა. ასევე, საია გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ინიციატივა მთავრობის მეთაურმა ჯერ კიდევ ივნისში წარმოადგინა⁶, როდესაც, პირობისამებრ, პრემიერ-მინისტრად არჩევიდან 100 დღის თავზე მის მთავრობის მუშაობის ძირითადი მიზნები დაასახელა, ხოლო 2 აგვისტოს მოხდა ინიციატივის აღსრულებისთვის

³ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 8.

⁴ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 8.

⁵ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „3. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.“; აგრეთვე იმავე 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „4. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემელების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემელებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემელების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.“

⁶ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31325956.html>

სამართლებრივი საფუძველის შექმნა. მთავრობა ვალდებულია, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და გამუდმებით იზრუნოს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, მიუხედავად იმისა, ახლოვდება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი თუ არა; მთავარია, რომ ამ დროს მისი ქმედებები შეესაბამებოდეს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, საარჩევნო კოდექსით დადგენილ საკანონმდებლო ნორმებს კი თავად საიაც არ აყენებს ეჭვქვეშ.

2. სოციალურ ქსელებში საჯარო რესურსის პარტიული მიზნით გამოყენება

ანგარიშის მეორე თავში აღწერილია ორი შემთხვევა. პირველი შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენის ცერემონიის პირდაპირ ეთერში გადაცემას საქართველოს პრემიერ-მინისტრის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ იყო დაფინანსებული. მეორე მაგალითში კი მოყვანილია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდის მიერ „ქართული ოცნების“ კანდიდატის მხარდამჭერი პოსტის გამოქვეყნება.

ანგარიშში ცალსახადაა აღნიშნული, რომ აღწერილ შემთხვევებში საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ დარღვეულა, რადგან ფეისბუქ პოსტების გამოქვეყნება არ ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდს და არ ითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. თუმცა საია შეფასებით მოცემული მაგალითები პარტიული მიზნებისათვის საჯარო რესურსის გამოყენებად მიაჩნია და ნებისმიერ შემთხვევაში „ცუდ პრაქტიკად“ განმარტავს.⁷

შეფასება:

ამ შემთხვევაშიც ფაქტია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა. საიას შეფასება მხოლოდ მის სუბიექტურ დამოკიდებულებას ავლენს კონკრეტული საკითხისადმი. კანონის მოთხოვნათა დაცვის მიღმა რა არის მისაღები ზოგიერთი ორგანიზაციისათვის, შეფასებითი საკითხია და შესაძლოა ორგანიზაციის სუბიექტურ აღქმებთან და სურვილებთან იყოს დაკავშირებული.

3. ოლეგ ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე

ანგარიშის მესამე თავი ეთმობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ოლეგ ხუბულურის, სამსახურიდან გათავისუფლების საქმეს. საიას შეფასებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის

⁷ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 10.

გადაწყვეტილება, ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ - კანონთან შეუსაბამოა.⁸

ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2021 წლის 15 მაისს ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური წარმოება დაიწყო 2012 წლის მაისში შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ აღრიცხული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამსახურში დასწრების საფუძველზე. წარმოების ფარგლებში განიხილეს ოლეგ ხუბულურის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც 2021 წლის 15 მაისს გავიდა ეთერში ტელეკომპანია „TV პირველზე“. რეპორტაჟი შეეხებოდა საჯარო მოხელეების სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს. რეპორტაჟში ხუბულურმა განაცხადა: „ხდება დისკრიმინაცია იმ ადამიანების და იმ საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ სავარაუდოდ განსახვავებული პოლიტიკური შეხედულება.“⁹

ხუბულურის აღნიშნული ქმედებები შეფასდა მძიმე დისციპლინურ გადაცდომად და ის გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთი სავალდებულო საფუძველია „მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება განისაზღვრა“; იმავე კანონის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, „თუ დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიაღდა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას.“ ამასთანავე, წარმოებით დადგინდა, რომ ხუბულურმა დაარღვია „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №200 დადგენილების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც: „საჯარო მოსამსახურე თავს იკავებს საჯარო კომენტარის გაკეთებისგან სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას წარმოშობილი პირადი ინტერესის მქონე საკითხებზე, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს საჯარო დაწესებულების რეპუტაციას.“¹⁰

ანგარიშის თანახმად, ხუბულურის სიტყვები ზოგადია, ის მიემართება საერთო ტენდენციას და არა კონკრეტულ საჯარო უწყებას, ამ შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიას. საიას შეფასებით, ხუბულურის სიტყვები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონკრეტული საჯარო დაწესებულების რეპუტაციის შელახვად.¹¹

⁸ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 12.

⁹ ნოდარ მელაძის შაბათი 15 მაისი, 2021 II ნაწილი, 19:55 წუთი. ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=hmHGyFP7BS4>

¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №200, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0>

¹¹ საია-ს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, გვ. 12.

შეფასება:

მართალია, განყენებულად შესაძლოა ხუბულურის სიტყვები კონკრეტულ უწყებაზე არ უთითებდეს, თუმცა, რეპორტაჟში დასახელებულია, კონკრეტულად რა თანამდებობა ეკავა ხუბულურს, რომელ საჯარო უწყებაში მუშაობდა ის. შესაბამისად, იკვეთება, რომ როდესაც მის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ის თითქოსდა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების სისტემურ პრობლემას უკავშირებს, ის სწორედ საკუთარი დამსაქმებლის, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მაგალითზე საუბრობს. იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულების რეპუტაციას ზიანი მიაღდეს, სულაც არ არის აუცილებელი, კონკრეტულად დაასახელოს ის საჯარო მოხელე. რეპორტაჟის საერთო კონტექსტიდან ივარაუდება, რომ ოლეგ ხუბულური გორის მუნიციპალიტეტის მერიას პოლიტიკური ნიშნით თანამშრომელების გათავისუფლებაში ადანაშაულებს. აქედან გამომდინარე, საიას შეფასება, რომ ხუბულურის განცხადება, მისი ზოგადი ხასიათის გამო, არ შეიძლება ექცეოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, ტოვებს ტენდენციურობის განცდას.

IV. დასკვნა

საიას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიშის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციამ მონიტორინგის მიმდინარეობისას ვერ აღმოაჩინა რაიმე სახის დადასტურებული კანონდარღვევა. შესავალშივე მითითებული სიტყვები, რომ ანგარიშში მოყვანილი იქნებოდა საიას მიერ უარყოფითად შეფასებული ფაქტები, მეტყველებს, რომ ანგარიშის შექმნის მიზანი უფრო რეკომენდაციების გაცემა იყო ორგანიზაციის მიერ მიუღებლად აღქმული შემთხვევების გამოსასწორებლად.

ანგარიშის პირველ და მეორე თავებში აღწერილ სამ ფაქტთან მიმართებით, ცალსახად არის ხაზგასმული, რომ ისინი კანონდარღვევას არ განეკუთვნება. რაც შეეხება მესამე თავში განხილულ შემთხვევას ოლეგ ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, აქ საიას მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების თავისებური შეფასება არის წარმოდგენილი, რომელიც მხოლოდ ამ ორგანიზაციის მოსაზრებებს ეფუძნება.

„სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო
პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიშის

ანალიზი

I. შესავალი

2021 წლის 1 სექტემბერს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (შემდგომ – სამართლიანი არჩევნები) საზოგადოებას წარუდგინა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შესახებ I შუალედური ანგარიში. ანგარიში 6 თავისგან შედგება და მოიცავს 2021 წლის 3 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ისეთ საკითხს, რომლის განვითარებაც 3 აგვისტომდე დაიწყო და მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა ან რომლის შესახებაც მონიტორინგის პერიოდში გახდა ცნობილი.

„სამართლიანი არჩევნების“ ანგარიშის თანახმად, „წინასაარჩევნო პერიოდის დაკვირვების ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგ საკითხებს: საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა; საარჩევნო სუბიექტების საჯარო შეხვედრები და პოლიტიკური საქმიანობა; ზეწოლა/მუქარის ან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები; ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები; სოციალური მედიის მონიტორინგი.“¹

ამ დოკუმენტის, რომელიც შედგენილია პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ანალიტიკური ჯგუფის მიერ, მიზანია ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტების დაზუსტება და საზოგადოებისთვის სწორად მიწოდება.

II. ზოგადი მიმოხილვა და შეფასებები

ISFED-ი უთითებს, რომ მის მიერ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის წყაროა როგორც ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, ისე საარჩევნო სუბიექტებისგან, მედია-საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაცია, ასევე სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.²

ანგარიშში აგრეთვე მითითებულია, რომ „[ISFED-ის] მიერ მოპოვებული თითოეული ფაქტი მოწმდება უშუალო თვითმხილველებთან და შემთხვევის მონაწილე მხარეებთან“.³ თუმცა ანგარიშში დასახელებულია არაერთი გადაუმოწმებელი შემთხვევა.⁴

¹ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 36, ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1VCsYbSeCN8npnMbRO3sygzwL6BwwtnSK/view>

² იქვე, გვ. 36-37.

³ იქვე, გვ. 37.

⁴ მაგალითად, ცალმხრივი ინფორმაცია ორი ჟურნალისტის მიერ რუსთავი 2-ის დატოვების შესახებ სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის მოტივით (გვ. 15); მხოლოდ ცალმხრივი შეფასებები სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების, ზეწოლის, ხელის შეშლასთან დაკავშირებით (გვ. 20: დუშეთის, რუსთავისა და საჩხერის შემთხვევები; გვ. 21: ფოთისა და ბათუმის შემთხვევები; გვ. 24: ყვარლის შემთხვევა; გვ. 35: პედაგოგის მიმართ სავარაუდოდ მუქარის შემთხვევა; და სხვა).

1. ანგარიშში საუბარია, რომ ბაღდათში,⁵ მოქალაქე ვაჟა კოვზაძეს დაუდასტურდა COVID-19, რის გამოც მან დაკეტა კუთვნილი მაღაზია. მეორე დღეს კოვზაძის დედამ გახსნა მაღაზია, რასაც პოლიციის რეაგირება მოჰყვა და მას მოსთხოვეს მაღაზიის დაკეტვა მფლობელის ინფიცირების გამო. მაღაზიის გახსნა 3 დღეში, მხოლოდ დეზინფექციის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ანგარიშში მოცემულ ამ შემთხვევას ანგარიშის ავტორი უკავშირებს პოლიტიკური ნიშნით ხელის შეშლას და ამის დასადასტურებლად მოჰყავს მხოლოდ პარტია „საქართველოსთვის“ შტაბის უფროსის განცხადება, რომლის შეფასებითაც, კოვზაძეების მაღაზია იმიტომ დაიკეტა, რომ ისინი პარტიის „საქართველოსთვის“ მხარდამჭერები არიან.

შეფასება:

ანგარიშში მოცემული ეს ინფორმაცია ეფუძნება მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის განცხადებას და არ არის წარმოდგენილი არც უშუალოდ მაღაზიის მფლობელის პოზიცია და არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნული პირი ნამდვილად პარტიის „საქართველოსთვის“ მხარდამჭერია.

2. ანგარიშში მოყვანილია პარტია „დროას“ ზუგდიდის ოფისის ფასადის დაზიანების ფაქტი და იქვე მითითებულია, რომ ეს „დროას“ ოფისთან დაკავშირებული პირველი შემთხვევა არ არის.

შეფასება:

ანგარიშში მითითებულია, რომ აღნიშნული ფაქტი „დროას“ ოფისთან დაკავშირებული პირველი შემთხვევა არ არის. შესაბამისად, იგულისხმება, რომ უნდა ვლინდებოდეს ამ ფაქტის მსგავსი სხვა ანალოგიური ერთი შემთხვევა მაინც. თუმცა ანგარიშში არ არის დასახელებული მეორე ასეთი შემთხვევა. ამრიგად, ანგარიშში დასახელებული ერთი ფაქტის „ტენდენციად“ მოხსენიება ვერ იქნება დამაჯერებელი შეფასება.

3. შესამჩნევია ანგარიშში იმგვარი ტერმინების გამოყენება, რომლებითაც მტკიცებითი ფორმით გადმოცემულია დაუზუსტებელი შემთხვევები; მეტიც, ხშირად ურთიერთსაპირისპირო ტერმინებიც კი არის გამოყენებული.

4. ანგარიშის პირველ აბზაცში ნათქვამია, რომ „სამართლიანი არჩევნები“ „დახმარებას უწევს იმ პირებს, რომელთაც, მიმიდნარე საარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური ნიშნით უფლებათა დარღვევის მსხვერპლები გახდნენ“. ამასთანავე, ანგარიშის ავტორები შესავალში მტკიცებითი ფორმით აცხადებენ, რომ არსებობენ პოლიტიკური ნიშნით შევიწროების „მსხვერპლები“. ამავდროულად, შესაბამისი ქვეთავების სათაურებში (მაგალითად, 4.2, 4.3, 4.6, 4.10 ქვეთავების

⁵ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 23.

სათაურებში), რომლებიც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას, წასვლის იძულებას, ზეწოლას, მუქარასა თუ სხვა მსგავს საკითხებს შეეხება, ISFED იყენებს სიტყვას „სავარაუდოდ“. ამასთანავე, კონკრეტულ შემთხვევებზე საუბრისას თავად აღნიშნავენ, რომ ორგანიზაცია ჯერ კიდევ იცავს კონკრეტულ პირთა ინტერესებს სასამართლოებსა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებში.⁶

შეფასება:

ორგანიზაცია, რომელიც წინასაარჩევნო პროცესს ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა აფასებდეს, სინამდვილეში, ახორციელებს რა კონკრეტულ პირთა წარმომადგენლობას შესაბამის ორგანოებში, გარკვეულწილად შესაძლოა წარმოადგენდეს დაინტერესებული მხარეს. ეს კი ანგარიშის ტენდენციურობასთან მიმართებით შესაძლოა დამატებით კითხვებს აჩენდეს.

სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით ზეწოლაზე, მუქარაზე, სამსახურიდან გათავისუფლებაზე მტკიცებით ფორმაში საუბარი, ვიდრე ამას არ დაადასტურებენ სათანადო ორგანოები, არ არის კორექტული და არ ემსახურება პროცესის სამართლებრივ ჭრილში განხილვას.

5. ტერმინებსა და შეფასებებთან მიმართებით შესამჩნევია ანგარიშში მოცემული შემდეგი განმარტებაც: „საოლქო კომისიის წევრთა 55% დაბალი კვორუმით აირჩა“.⁷

ეს ჩანაწერი მიკერძოებულობის განცდას ტოვებს და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესის დისკრედიტაციის მცდელობად შეიძლება შეფასდეს; კერძოდ, საარჩევნო კომისიების ყოველი წევრი აირჩა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სათანადო კვორუმით. ამ საკითხს ამომწურავი პასუხი გასცა ასევე ცესკომ⁸. ამდენად, კითხვის ნიშნის დასმა კანონით დადგენილ კვორუმთან მიმართებით სრულიად გაუგებარია. შესაბამისად, ამგვარი განმარტება სუბიექტურია და საარჩევნო კომისიათა შემადგენლობისადმი უნდობლობის გაღვივებას შეიძლება ემსახურობდეს მაშინ, როცა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსში თავის დროზე პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსენსუსით იქნა მიღებული.

6. ხმის დათვლის ვიდეოფიქსაცია (ანგარიშის 1.3 პუნქტი)

ციტატა ანგარიშიდან: „ცესკოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 3700-მდე ვიდეოკამერა, რომლითაც ვიდეოგადაღება უნდა განხორციელდეს, საარჩევნო ადმინისტრაციას „ქართულმა ოცნებამ“ გადასცა. მათი ნაწილი გადათვლის პროცედურის გადაღებისთვის იქნება

⁶ იქვე, გვ. 18.

⁷ იქვე, გვ. 3.

⁸ <https://cesko.ge/geo/list/show/124563-samartliani-archevnebis-ISFED-shefasebebsshi-shesadzloa-saarchevno-protsebis-araargumentirebuli-diskreditatsia-ikvetebodes->

გამოყენებული. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ისედაც ბუნდოვანი ზღვარი, ასეთი ქმედებებით კიდევ უფრო იშლება.“⁹

შეფასება:

ხმის დათვლის ვიდეოფიქსაცია საარჩევნო პროცესს შესძენს უფრო მეტ გამჭვირვალობას და გამორიცხავს ყოველგვარ სპეკულაციას. „ქართული ოცნების“ მიერ ცესკოსთვის ვიდეოკამერების გადაცემა ემსახურება საერთო მიზანს – საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და არჩევნებისადმი ნდობის ამაღლებას, რაც ყველა საარჩევნო სუბიექტისა თუ ამომრჩევლის ინტერესია და არ განეკუთვნება რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიის მიზნებს. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ვიდეოკამერების გადაცემის საკითხი საარჩევნო რეფორმაზე მსჯელობისას ოპოზიურ პარტიებთან ერთადაც შეთანხმდა. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვიდეოკამერები ცესკოს გადასცა თხოვნების ხელშეკრულების საფუძველზე. „სამართლიანი არჩევნები“ თავად ამახვილებს ყურადღებას ვიდეოფიქსაციის მნიშვნელობაზე, თუმცა, ამავედროულად, ცდილობს ამ პროცესში კრიტიკის საგანს მიაგნოს, რაც მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე კიდევ უფრო შეიძლება მეტყველებდეს ვიდრე საკითხის მნიშვნელობის ობიექტურ შეფასებაზე

7. ციტატა ანგარიშიდან: „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ხმის დათვლის აუდიოვიდეოფიქსაცია წინ გადადგმული ნაბიჯია, რომლის მიზანი უნდა იყოს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის გაზრდა. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნებოდა, საარჩევნო ადმინისტრაციას შემოეთავაზებინა ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც, შესაძლებელი იქნებოდა, ხმის დათვლის პროცესის ვიდეო-აუდიო ჩანაწერები 5 დღის ნაცვლად, პროცესის დასრულებისთანავე, შემჭიდროებულ ვადაში განეთავსებინა.“¹⁰

შეფასება:

ცესკოს მონაცემებით, ვიდეოფიქსაცია განხორციელდება იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 300-ზე მეტია; ასეთი კი 3198 უბანია. შესაბამისად, 3198 უბნის ხმის დათვლის პროცესის ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ატვირთვას სჭირდება სათანადო მატერიალური და ცესკოს საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ადამიანური რესურსი. ამ კონტექსტისა და ცესკოს №55/2021 დადგენილების მე-10 მუხლის¹¹ გათვალისწინებით, ვიდეოჩანაწერები ინტერნეტსივრცეში უნდა აიტვირთოს კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-5 დღის დილის 10:00 საათისა. შესაბამისად, 5 დღე არის მაქსიმალური ვადა, რაც არ გამორიცხავს ვიდეოჩანაწერების უფრო ადრე ხელმისაწვდომობასაც.

⁹ იქვე, გვ. 7.

¹⁰ იქვე, გვ. 8.

¹¹ ცესკოს დადგენილება №55/2021:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5246199?publication=0>

8. ციტატა ანგარიშიდან: „პრობლემურია ცესკოს დადგენილება №55/2021-ის 12-ე მუხლის შინაარსი. საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაეცნონ ხმის დათვლის აუდიო და ვიდეო ჩანაწერს მანამ, სანამ მას ინტერნეტსივრცეში არ ატვირთავს საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო დავების შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, 5 დღე, შესაძლოა, დაგვიანებული იყოს, რადგან საჩივრის განხილვისას, შეიძლება საჭირო გახდეს ვიდეოჩანაწერის მტკიცებულების სახით შესწავლა და წარდგენა.“¹²

შეფასება:

ამ შენიშვნას სრულად პასუხობს ცესკოს №55/2021 დადგენილების მე-13 მუხლი;¹³ ამ მუხლის თანახმად, საჩივრის ავტორს შეუძლია გამოითხოვოს ნებისმიერი კონკრეტული 10 წუთიანი მონაკვეთი კონკრეტული დროისა და დარღვევის მითითებით. საჩივრის წარმდგენს ვიდეოჩანაწერის გამოკვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემა მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის განხილვისას და სასამართლოში დავის განხილვისას. შესაბამისად, ინტერნეტსივრცეში ატვირთვამდე კონკრეტული მონაკვეთის გაცნობის შესაძლებლობა აქვს ხმის დათვლის პროცესთან დაკავშირებული საჩივრის ავტორს და მას ვიდეოჩანაწერის კონკრეტული სავარაუდო დარღვევის ამსახველი მონაკვეთის, როგორც მტკიცებულების, წარდგენის უფლება შენარჩუნებული აქვს.

9. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება (ანგარიშის 1.5 პუნქტი)

ციტატა ანგარიშიდან: „რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა პროფესიულ წევრებად შერჩეული პირების აფილიაცია/კავშირი მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან საკუთარი ან/და ოჯახის წევრების ამჟამინდელი ან უახლოეს წარსულში საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩეულთაგან 2 პირს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.“¹⁴

შეფასება:

ანგარიშის 23-ე სქოლიოში, სადაც საარჩევნო კომისიის წევრებსა და მმართველ პარტიას შორის სავარაუდო კავშირზეა საუბარი, არ არის განმარტებული, თუ რა სახის კავშირზე უთითებს „სამართლიანი არჩევნები“. სქოლიოში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ზოგადად არის მითითებული 29 პირის გამოვლენაზე და ჩამოთვლილია რამდენიმე მუნიციპალიტეტი.

ანგარიშში მითითებულ 2 პირთან მიმართებით საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩეული 218 წევრიდან მხოლოდ იმ ორ წევრზე ყურადღების გამახვილება, რომელსაც მიმდინარე კომისიის წევრად არჩევამდე (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში) დისციპლინური

¹² „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 8.

¹³ ცესკოს დადგენილება №55/2021:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5246199?publication=0>

¹⁴ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 10.

პასუხისმგებლობა დაეკისრა, ზოგადი სურათის დამძიმებასა და საოლქო საარჩევნო უბნების დაქომპლექტების პროცესის დისკრედიტაციის მცდელობას ემსახურება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის წარსულში დაკისრების ფაქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად პირის არჩევის დამაბრკოლებელი გარემოება, თუ ეს პირი საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან ან ის საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.¹⁵

10. ციტატა ანგარიშიდან: „დადებით შეფასებას იმსახურებს ცესკოს მიერ გასაუბრების პროცესის პირდაპირი ტრანსლაცია. ამ გადაწყვეტილებამ გასაუბრების პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას შეუწყო ხელი, თუმცა, ამასთანავე, კონკურსანტებს მიეცათ შესაძლებლობა, თვალი ედევნებინათ კონკურენტების გასაუბრებაზე დასმული შეკითხვებისთვის და წინასწარ მოემზადებინათ შესაბამისი პასუხები. ამასთან, კონკურსანტების ნაწილმა უარი თქვა მისი გასაუბრების ტრანსლირებაზე, რის გამოც კანდიდატები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ.“¹⁶

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ ცესკოს მონაცემებით 311 კანდიდატიდან 180-მა კანდიდატმა განაცხადა თანხმობა გასაუბრებაზე, ერთდროულად 180-ვე კანდიდატთან შეუძლებელი იქნებოდა გასაუბრების ჩატარება.¹⁷ ამდენად, გასაუბრების პროცესი სხვაგვარად ვერ წარიმართებოდა. „სამართლიანი არჩევნები“ ანგარიშში არ უარყოფს გამჭვირვალობის მნიშვნელობას, თუმცა, ალტერნატიული მექანიზმის დასახელების გარეშე, მაინც აკრიტიკებს პროცესს. გასაუბრების ტრანსლაციასთან მიმართებით კი გასათვალისწინებელია, რომ თავად კონკურსანტი ირჩევდა და წყვეტდა, მასთან გასაუბრება იქნებოდა თუ არა საჯარო. ამრიგად, გაუგებარია, რაზე დაყრდნობით საუბრობს „სამართლიანი არჩევნები“ კონკურსანტებს შორის არათანაბარი პირობების შექმნაზე.

11. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება (ანგარიშის 1.6 პუნქტი)

¹⁵ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

¹⁶ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 9.

¹⁷ ცესკოს პრესრელიზი 22.08.2021:

https://cesko.ge/geo/list/show/124563-samartliani-archevnebis-ISFED-shefasebebshi-shesadzloa-saarchevno-protsebis-araargumentirebuli-diskreditatsia-ikvetebodes-?fbclid=IwAR0m8ZKusWKbLOKV_c4K3ZwUCKmBlOfobUJSMwsRDp-xBnbDr0VCjGYpBMw

ციტატა ანგარიშიდან: „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შერჩეული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გარკვეული ნაწილი მმართველ პარტიასთან არის აფილირებული, მათ ამჟამინდელი ან უახლოეს წარსულში საქმიანობით.“¹⁸

შეფასება:

ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკომ საჯაროდ უპასუხა ISFED-ს და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეული 29086 წევრიდან 2013-2020 წლებში მხოლოდ 4732 პირი წარმოადგენდა სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტს, რომელთაგან მხოლოდ 1831 იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი 2901 პირი – სხვა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელი.¹⁹ აქედანაც ჩანს, რომ „სამართლიანი არჩევნები“ კონკრეტული ფაქტებისა და სტატისტიკის დასახელების გარეშე, ზოგადად და დაუსაბუთებლად აფასებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა „გარკვეული ნაწილის“ მმართველ პარტიასთან კავშირს. ინფორმაციის ამგვარი განზოგადებული ფორმით გადმოცემა და უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ეჭვებისა და უნდობლობის გამოთქმა საარჩევნო კომისიების შემადგენლობის თაობაზე ანგარიშის ავტორის ტენდენციურობის კიდევ ერთი მანიშნებელი გარემოებაა.

12. ციტატა ანგარიშიდან: „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის პოზიციაზე შერჩეულ 161 პირს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული.“²⁰

შეფასება:

2021 წელს გამოცხადებული იყო 29312 ვაკანსია. შესაბამისად, 161 პირი, რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვაკანსიათა საერთო რაოდენობის 0,54% შეადგენს. ISFED-ის მიერ ამ მონაცემის დასახელება ცესკომ შეაფასა მთლიანი საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციის მცდელობად.²¹

¹⁸ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 10.

¹⁹ ცესკოს პრესრელიზი 22.08.2021:

https://cesko.ge/geo/list/show/124563-samartliani-archevnebis-ISFED-shefasebebshi-shesadzloa-saarchevno-protsebis-araargumentirebuli-diskreditatsia-ikvetebodes-?fbclid=IwAR0m8ZKusWKbLOKV_c4K3ZwUCKmBlOfobUJSMwsRDp-xBnbDr0VCjGYpBMw

²⁰ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 10.

²¹ ცესკოს პრესრელიზი 22.08.2021:

https://cesko.ge/geo/list/show/124563-samartliani-archevnebis-ISFED-shefasebebshi-shesadzloa-saarchevno-protsebis-araargumentirebuli-diskreditatsia-ikvetebodes-?fbclid=IwAR0m8ZKusWKbLOKV_c4K3ZwUCKmBlOfobUJSMwsRDp-xBnbDr0VCjGYpBMw

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული ან კარნახობდნენ იმ კანდიდატთა სიას, რომლებსაც მათ მხარი უნდა დაეჭირათ, თუმცა ამის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არ არის ანგარიშში ნახსენები.

13. ციტატა ანგარიშიდან: „საოლქო საარჩევნო კომისიაში კონკურსანტების განცხადებები იყო ერთგვაროვნად, სავარაუდოდ ერთი პირის მიერ შედგენილი.“²²

შეფასება:

ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკომ განმარტა, რომ პროცედურების გამარტივების მიზნით თავად შეიმუშავა განცხადების სარეკომენდაციო ფორმა კონკურსანტებისათვის.²³ აქედან გამომდინარე, ის მოსაზრება, რომ აღნიშნული განცხადებების ერთგვაროვნება თითქოს რაიმე დარღვევაზე მიუთითებდეს ან საარჩევნო პროცესს სხვა მხრივ აკნინებდეს, აბსოლუტურად ალოგიკურია.

14. ციტატა ანგარიშიდან: „უმრავლეს შემთხვევაში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“ და „ლელოს“ მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მონაწილეობას არ იღებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებისთვის ხმის მიცემის პროცესში.“²⁴

შეფასება:

საგულისხმოა, რომ „სამართლიანი არჩევნები“ აღნიშნული ოპოზიციური პარტიების ამ ქმედებებზე არაფერს ამბობს მაშინ, როცა ცალმხრივად, მხოლოდ მმართველ პარტიას მოუწოდებს, „ჩაატაროს უფრო გამჭვირვალე საარჩევნო კამპანია“²⁵. ასეთი ცალმხრივობა კიდევ უფრო ამყარებს ეჭვებს ანგარიშის ტენდენციურობაზე.

15. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი (ანგარიშის 1.7 პუნქტი)

8 აგვისტოს ISFED-მა და „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ დატოვეს საკონსულტაციო ჯგუფი. მათ ამის მიზეზად დაასახელეს ცესკოს №44/2021 დადგენილებაში შეტანილი

²² „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 11.

²³ ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/geo/list/show/124563-samartliani-archevnebis-ISFED-shefasebebshi-shesadzloa-saarchevno-protsebis-araargumentirebuli-diskreditatsia-ikvetebodes-fbclid=IwAR0m8ZKusWKblOKV_c4K3ZwUCKmBlOfobUJSMwsRDp-xBnbDr0VCjGYpBMw

²⁴ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 11.

²⁵ იქვე, გვ. 18.

ცვლილება,²⁶ რომელიც არჩევნების დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ საკონსულტაციო ჯგუფში წევრთა კონსენსუსით შერჩევის წესში დამატებების შეტანას ეხებოდა. ISFED-ის აზრით, აღნიშნული ცვლილება აჩენდა კითხვებს ისეთი პირების არჩევის მიმართ, რომელთა მიუკერძოებლობა და ობიექტურობა პროცესებისადმი ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ISFED-მა საკონსულტაციო ჯგუფის დატოვების კიდეც ერთ მიზეზად კვალიფიციური და სანდო ადამიანების ჯგუფის წევრებად შერჩევის შეუძლებლობა და სხვა ორგანიზაციების დაბალი რეპუტაცია დაასახელა.²⁷

შეფასება:

ISFED-ი ამ შემთხვევაშიც ყოველგვარი დასაბუთებისა და კონკრეტული მაგალითების გარეშე ცდილობს საზოგადოებაში შექმნას წინასწარი განწყობა, თითქოს საკონსულტაციო ჯგუფის სხვა წევრების რეპუტაცია გაურკვეველია და არ არის სანდო. სხვა კოლეგა ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობა და მათი რეპუტაციის საექვოობაზე საუბარი არ შეესაბამება ეთიკურ სტანდარტებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს ISFED-მა თავად დაუშვა იმდენად მძიმე შეცდომა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების დათვლასთან დაკავშირებით, რომ ეს დადებითად ნამდვილად არ ასახულა მათ რეპუტაციაზე.

ცესკოს №44/2021 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები შეეხო მისი მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-7 მუხლს.²⁸ სინამდვილეში, საკონსულტაციო ჯგუფის წევრის დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის კონსენსუსით შერჩევის წესი ძალაში დარჩა, ხოლო ცესკოს დადგენილების აღნიშნულ ნორმებს დაემატა შინაარსი, რომ თუ საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის კანდიდატი დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ კონსენსუსით ვერ შეირჩა, საკონსულტაციო ჯგუფის წევრს აირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით. შესაბამისად, დადგენილებაში შეტანილი ეს ცვლილება ემსახურება მხოლოდ იმ ვითარებიდან გამოსავლის უზრუნველყოფას, როდესაც დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის კონსენსუსი ვერ დგება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ცესკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერის პირობა მაღალი კვორუმია.

ამასთანავე, ISFED-მა საკონსულტაციო ჯგუფის დატოვების მიზეზად სხვა ორგანიზაციების დაფინანსების გაუმჭვირვალე წყაროებიც დაასახელა. თუმცა მეტი კონკრეტიკა ამ საკითხზე ანგარიშში არ გვხვდება და ეჭვები მხოლოდ ზედაპირული და დაუსაბუთებელი შეფასებით გამოირჩევა.²⁹

²⁶ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №45/2021:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5238238?publication=0>

²⁷ ISFED-ის განცხადება საკონსულტაციო ჯგუფის დატოვების შესახებ, 8.08.2021:

<https://isfed.ge/geo/gantskhadebebi/tsekos-sakonsultatsio-digufis-dakompleqtetbis-protsess-ori-arasamtavrobo-organizatsia-tovebs>

²⁸ ცესკოს დადგენილება №44/2021:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5226832?publication=0>

²⁹ ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ ტოვებენ:

16. ციტატა ანგარიშიდან: „საკონსულტაციო ჯგუფის უფლებამოსილების ანალიზი არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად ჯგუფის საქმიანობა ეფექტიანი იქნება.“³⁰

შეფასება:

ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები იკვეთება ISFED-ის განცხადებებში. ერთი მხრივ, „სამართლიანი არჩევნები“ 2021 წლის 6 აგვისტოს პრესრელიზში აცხადებს, რომ საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შესარჩევად მოწვეული ორგანიზაციების შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის სათანადო მუშაობას, ხოლო, მეორე, მხრივ, წარმოდგენილ ანგარიშში უთითებს, რომ „მნიშვნელოვანია, ჯგუფის საქმიანობამ გავლენა მოახდინოს საარჩევნო დავების მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემური საკითხების სამართლიან გადაწყვეტაზე“.³¹ საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობას რომ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნებოდა, ISFED-ისთვის ამ ჯგუფში მონაწილეობამდეც იყო ცნობილი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, საკონსულტაციო ჯგუფში მიწვევაზე დათანხმებოდა. საკონსულტაციო ჯგუფის საარჩევნო დავებსა და პრობლემურ საკითხებზე გავლენასთან მიმართებით კი გაუგებარია, თუ რატომ თქვა უარი „სამართლიანმა არჩევნებმა“ ჯგუფში მონაწილეობასა და იმ შესაძლებლობაზე, საკამათო საკითხების მიმართ განეხორციელებინა თუნდაც სარეკომენდაციო და არასავალდებულო ხასიათის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული აზრი დაეწერა.

გაუგებარია ასევე, თუ რაზე დაყრდნობით გამოთქვამს ISFED ექვს საკონსულტაციო ჯგუფის მოქმედი წევრების რეპუტაციის, გამოცდილებისა და სანდოობის მიმართ. ISFED-ს არ აქვს მყარი არგუმენტები ამ კუთხით და ერთადერთ მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ეს პირები საზოგადოებისთვის უცნობი არიან. ის, თუ რომელი კვლევით ან რომელი საზომით გაზომეს საკონსულტაციო ჯგუფის წევრთა ცნობადობა, ანგარიშში არ იკვეთება.

17. ირაკლი აბსანძის გათავისუფლება და ზოგიერთი ტელეწამყვანის მიერ არხის დატოვება

ირაკლი აბსანძის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გათავისუფლება შეფასებულია როგორც პოლიტიკურ მოტივზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.³² ანგარიშში ამ შეფასებას ერთვის თავად ირაკლი აბსანძის კომენტარი და კოალიციის „მედია ადვოკატირებისთვის“ ვარაუდებზე დაფუძნებული განცხადება, რომლის თანახმადაც, „ირაკლი აბსანძის გათავისუფლება ტოვებს აღქმას, რომ ამის რეალური საფუძველი ჟურნალისტის მიერ ბოლო

<https://isfed.ge/geo/gantskhadebebi/tsekos-sakonsultatsio-djufis-dakompleqtebis-protsess-ori-arasamtavrobo-organizatsia-tovebs>

³⁰ „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 12.

³¹ იქვე, გვ. 12.

³² „სამართლიანი არჩევნების“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, გვ. 14.

პერიოდში ხელისუფლებისა და ტელევიზიის ხელმძღვანელობის მიმართ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები იყოს“.³³ მხოლოდ ერთი მხარის კომენტარი სუბიექტურ პოზიციას მიუთითებს, რაც ტენდენციურობის განცდას ტოვებს.

